



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33

2017 წლის 30 ნოემბერი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 დადგენილებაში და დაგენილებით დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 დადგენილებაში და დაგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების სათაურში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

ბ) შევიდეს ცვლილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 ივლისის №25 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები		
N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერი	2650
2	მერის პირველი მოადგილე	1300
3	მერის მოადგილე	1300
4	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის ხელმძღვანელი - I რანგი	1000
5	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი - II რანგი	810
6	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - III რანგი	560